ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1404359

ნომერი: AR1237714

თარიღი : 21.07.2014

გაცემის თარიღი : 25.07.2014

გაცნობის თარიღი : 28.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3 , I მ/რ, კორპუსი N25-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 030/020) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ვარდიაშვილი პ/ნ 01013003401
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 1 ბ. 29

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს,არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით მშენებლობის განხორციელება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, სასურველია გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ი, დამატებით წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ფოტო სურათები (გადაღებული რამოდენიმე რაკურსიდან) და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ფოტომონტაჟის რამოდენიმე ვარიანტი (მასალებისა და გაბარიტული ზომების დეტალური მითითებით).

გარდა ამისა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საპროექტო ობიექტის წინ განთავსებულია ლითონის კონსტრუქცია, ხოლო საპროექტო ობიექტზე შესვლა დაგეგმილია სწორედ ამ მხრიდან, რაც იწვევს გაურკვევლობას. აღნიშნულის შესახებ ვრცლად განიმარტოს მოთხოვნის ტექსტში და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს ატვირთული დოკუმენტაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.